ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაციონალისტი

შაბათი ოქტომბრის 16 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო. № 14 ფასი 10 მან.

**მისამართი:**

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.

რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

**ხელის მოწერა:**

წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).

ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

**განცხადებანი**

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—20 მან. მ-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.



## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს",

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეებს.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეების გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . . . 10 პროც.

2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . . 45 პროც.

3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

**მომარაგების სამინისტრო.**

## განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო **მატყლის საწყობმა**, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს **საწყობიდან** მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა გაყიდვა კერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.**

**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული** არიან ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები **მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.**

**მომარაგების სამინისტრო.**

საქართველოს

## სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუღალტრო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12—1 საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან.

(ეროვნული საბჭოს ქუჩა, № 11 ყოფილი ფრეილინის ქუჩა)

ორშაბათს 18 ოქტომბერს

გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი

„ცისფერი ყანწელების"

„ბ ა რ ი კ ა დ ი"

პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.

რედაქტორი **ტიციან ტაბიძე**

მისამართი: სასტუმრო „კავკაზი" №№ 44 45.

## ნაციონალური პარტიის კონფერენცია

**შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (დღისობისთვის 10 ძვ. სტ.)**

## დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.

II. პროგრამისა და წესდების განხილვა.

III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).

IV. საერობო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.

V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა

VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ადგილები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

**მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი**

## სოციალ დემოკრატების ეკონომიკა და გლეხობა

სოციალ-დემოკრატების ეკონომიურ თათბირზე, როგორც სჩანს, მთავარ საშუალებათ გაკოტრებულ ხაზინის შევსებისა მიუჩნევიათ იძულებითი სესხისა და გადიდებულ გადასახადების გაწერა გლეხობაზე.

პირველად ეს რჩევა მიუცია „ძვირფას სტუმარს" ბ-ნ კარლოს კაუცკის; კ. კაუცკის შემდეგ კი გადასახადების გადიდება სოფელზე, გლეხობაზე მოუთხოვია აგრეთვე ბ-ნ ნ. ხომერიკს.

ჩვენ არ ვიცით ჯერ, რამდენჯერ გაადიდებენ გადასახადებს და რამდენი იძულებით სესხს გააწერენ ხალხს, მაგრამ ჩვენ ეხლავე ვეგვაძლია ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატია უსამართლობას ჩადის, როცა იგი ეძიებს ფულის შესაძენად სოფელზე, გლეხობაზე მიაქვს და არ უნდა მთავარი ყურადღება მიაქციოს იმ სპეკულიანტურ კაპიტალს რომელიც ათასგვარ კომბინაციით დაგროვდა ქალაქებში ომისა და რევოლუციის დროს.

ევროპაში თვით არასოციალისტური მთავრობები იტალიისა, ინგლისისა და სხვ, ამ სპეკულიაციით გამდიდრებულ კაპიტალს ადებენ ხარკს, ჩვენში კი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა იმ სოფელს და იმ გლეხობას აწვება, რომლისთვისაც ჯერ არა თუ ახალი გზები, შკოლები და საავადმყოფოები არ გაუხსნია, არამედ ძველიც ვერ შეუკეთებია...

და თუ სოფელი და გლეხობა არც აქამდის იყო მაინც და მაინც სოციალ დემოკრატიული მთავრობის მადლიერი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი გადიდებული გადასახადები და იძულებული სესხი, რომლის გაწერას აპირობენ სოფელზე, მართლაც რომ საზიფათო იქნება სოციალ—დემოკრატიულ მთავრობისთვის და პოლიტიკურ ნდობასთან ერთად პოლიტიკურ ძალა-უფლებასაც დაუკარგავს სოციალ-დემოკრატიას მთელს გლეხობაზე, ესე იგი მთელს საქართველოზე.

## სადღეისო

ოსმალების შეტევამ, რომელიც სომხურმა პრესამ ჩვეულებისამებრ მეტად გაზვიადა, ქართული საზოგადოება ცოტა არ იყოს აალელვა. ნაწილი ჩვენი პრესისა იქამდისაც კი მივიდა, რომ სომხეთთან სამხედრო კავშირის დაჭერაზედ დაიწყო ლაპარაკი.

ჩვენ ამ ჟამათ არ შევეხებით იმ „კეთილმეზობლურ" პოლიტიკას, რომე-

ლსაც სომხეთის მთავრობა აწარმოებდა დღემდე ჩვენს წინააღმდეგ.

დავივიწყოთ ბორჩალოს შემაძრწუნებელი ამბები, დავივიწყოთ სხვა და სხვა დაშნაკების შეთქმულებანი, მოულოდნელი სომხეთის პრეტენზიები ბათუმის ოლქზე, ამავე სამხედრო კავშირის სრული უარყოფა სომხების მხრივ რუს ბოლშევიკების საფრთხის დროს და სხვა.

დავივიწყოთ ყოველივე ეს და გამოვარკვიოთ, რამდენათ ხელსაყრელი იქნება საქართველოსთვის დღევანდელ პირობებში ის სამხედრო კავშირი სომხეთთან, რომლისკენაც ერთგვარ აღფრთოვანებით გვეპატიჟებიან ზოგი ჩვენი მემამულეთაგანნი.

ისტორიის მსვლელობამ ჩვენ ქვეყანას ნეიტრალური როლი არგუნა და ამ როლს ჩვენ ვასრულებთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან შორეულ და მახლობელ მეზობლების მიმართ.

უნდა მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში, რომ პოლიტიკურად მოაზროვნე მუსულმანები სრულიადაც არ უარყოფენ სომხეთის ეროვნულ უფლებებს და მის დამოუკიდებლობას, მხოლოდ საჭიროდ მიაჩნიათ საზღვრების საკითხში სომხების გადაჭარბებულ მოთხოვნილებას ცოტაოდნათ ფრთები შეაკვეცონ.

სომხეთის მმართველ წრეებს კიდევ ერთხელ გაუმჟღავნდებათ ის იმედები, რომელიც მათ სხვა გარეშე სახელმწიფოებზე აქვთ დამყარებული და მაშინ ისინი იძულებული იქნებიან საზღვრების საკითხში მუსულმანებთან შეთანხმდენ სამართლიანობის პრინციპის მიხედვით.

ჩვენ კი არავითარი საბუთი არა გვაქვს ავიტკივოთ ამ მხრივ აუტკივარი თავი და გადავიკიდოთ უმიზეზოთ როგორც საზოგადოდ მუსულმანები, აგრეთვე ჩვენი სამუსლიმანო საქართველო.

ხამტრო ჩვენთან მუსულმანებს არა აქვს რა და ყოველი საკითხი ოსმალეთთან ჩვენ შორის შეიძლება მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაწყდეს. ერთად-ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა იწვევდა ჩვენ შორის დიდ უსიამოვნებას, იყო ბათუმი და მისი ოლქი.

ეს საკითხი უკვე გადაწყდა და სამუსლიმანო საქართველო დიდათ დაინტერესებულია ჩვენთან მჭიდრო კავშირი იქონიოს და შეერთებული ძალით დაიცვას ჩვენი საერთო ეროვნული საქმე. და ოსმალეთმაც უკვე ანგარიში გაუწია ამ ფაქტს.

ჩვენმა მთავრობამაც ანგარიში უნდა გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას და სრულიად უბრალოთ არ წამოეგოს ეშმაკურად მოწყობილ ანკესზე.

ამერი.

# დეპეშები

### გერმანული ცნობა.

გუშინ ბერლინში შესდგა დამოუკიდებელ სოციალისტების მიტინგი, რომელიც პრუსიის სეიმის რეაქციონურ ნაბიჯის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიტინგმა მუნიციპალურ მოსამსახურეების თავის ადგილზე დატოვება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში—ამბობდენ ზოგიერთი ორატორები—დადგება დრო, როდესაც ხალხი აღარ გაუწევს ანგარიშს პარლამენტარულ ბრძოლას და თვით დაიწყებს მოქმედებას.

დოქტორი კარლი ფინანსთა მინისტრის დასახმარებლად გერმანიის საფინანსო კომისრად დაინიშნა. „ფორვერტსი" ასეთ დაწესებულებას ფინანსიურ დიქტატურად სთვლის.

**ავათმყოფობა პეტროგრადში.** „იზვესტია" იუწყება პეტროგრადში ყვავილის ავადმყოფობის გავრცელების შესახებ. მუშებს აიძულებენ აიცრან, სათანადო ზომები უკვე მიიღეს. მუშის რომელიც არ აიცრის, უსპობენ ჯამაგირსა და ულუფას.

**შაქრის საქმე.** ბერლინი. შაქრის სიმცირის გამო აიკრძალა რესპუბლიკის საზღვრებიდან მისი გატანა.

**ყირიმში.** სევასტოპოლი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსდება ეკონომიური საბჭო. საბჭოში შევლენ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მათ შორის პროფ. კავშირთა წარმომადგენლები.

**ოსმალეთში.** სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა დასთანხმდა მისცეს რუს ინჟინერთა და კაპიტალისტთა ჯგუფს ბოსფორსა და სტამბოლს შუა კონცესია მიწის ქვეშ რკინის გზის გაყვანაზე.

**ერთა ლიგა და რუსეთი.** ბერლინი. „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება: ერთა ლიგამ გადასწყვიტა დაიჩქაროს საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება რუსეთში მყოფ ტყვეების გამოსასვლელ ნებართვის მიცემის შესახებ. ნანსენმა ერთა ლიგას აუწყა: რუსეთის ბანაკი, სადაც ტყვეები სცხოვრობენ, საშინელ მდგომარეობაში იმყოფებაო. თურქესტანში 200.000 ტყვეთაგან დარჩა მხოლოდ 70.000. დანარჩენები დაიხოცნენ, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგენ. ციმბირში 200.00, ტყვე იმყოფება.

**გერმანია და რუსეთი.** ვენა. „ნეიე ფრეიე პრესე" იუწყება:—გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი განცხადება: ანტანტის სახელმწიფოებს გერმანიისა და რუსეთის დამოკიდებულების შესახებ აქვთ თავისი საკუთარი შეხედულება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გერმანია და რუსეთი ეკონომიურად მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი და ამ ორ სახელმწიფოს კავშირი აუცილებელიაო. ამას გარდა სიმონსმა განაცხადა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ავსტრიასა და გერმანიაში მყოფ გერმანულ ტომების ფედერატიულად გაერთიანებაო.

# უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკებს ულტიმატუმი მიუმართავთ სომხეთისათვის, რუსის ჯარებს გზა მიეცით ოსმალეთში და ანტანტასთან შეთანხმებაზე ხელი აიღეთო.

რუსის ახალი ჯარები გროვდება სომხეთის საზღვარზე.

მერდენეკთან ოსმალების ჯარმა შეტევა დაიწყო.

რუსეთის წარმომადგენელს სტარკს პროტესტი განუცხადებია საქართველოს მთავრობისათვის იმ შეურაცყოფისათვის, რომელიც სომხურ მიტინგზე მიაყენეს რუსეთსო.

# ქრონიკა.

დამფუძნებელი კრების სხდომები სასახლის რემონტის გამო 1 ნოემბრამდის გადაიდო.

**სოც.-დემ. ეკონომიური თათბირი.** 13 ოქტომბერს ქ. თბილისის საბჭოს დარბაზში შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელზედაც საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენებები გააკეთეს ნ. ჟორდანიამ და ნ. ხომერიკმა. თათბირს დაესწრო აგრეთვე კარლ კაუცკი, რომელმაც თათბირის მონაწილეთა თხოვნით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

—კამათისათვის ჩაეწერენ 20-დე ორატორი, მაგრამ სიგვიანის გამო კრება გადაიდო 15 ოქტომბრისათვის.

**აძერბეიჯანი და საქართველო**

ბაქოს მუშათა საბჭოში ჰუსეინოვის სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც საქართველოს შესახებ ნათქვამია:

„საქართველოსთან სავაჭრო ხელშეკრულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დადებული, თუ მისი მთავრობა მოგვცემს მტკიცე გარანტიას იმისას, რომ ნავთს მხოლოდ თვითონ მოიხმარს და ამასთანავე კავშირს გასწყვეტს საბჭოთა მთავრობის მტრებთან".

## ECCE SENSUS

So ist das Leben.
ნიცშე

დაუსრულებელი ფერადობა, ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების გაშენება, დიდს ქალაქებში უაზრო ჩოჩქოლი მოუსვენარი მღელვარება, პროფესორების და დოცენტების ტრაბახობა, ტყუილი, სიცრუე. მოწამლული ჰაერით სუნთქვა, ჭლექი, ვენერიული სნეულებანი, პოლიტიკური და დიპლომატიური შანტაჟი, კომერციული აფერები, გაიძვერა და უსინდისო პირთა ინტრიგები, დილეტანტების და უზნეო ქალების შეღებილი ლოყები, მშრომელთა ოფლი, მოტყუებულთა ცრემლები, მეოცნებეთა შიმშილი და სიღატაკე, აი ცივილიზაცია, აი ის, რასაც ჩვენ ვეძახით კულტურას, განათლებას, წინსვლას.

მაგრამ ყველაფერი ეს იყო ძველად: რომი, ბაბილონი, კართაგენი, ათინა იცნობდნენ კულტურას,—სული დალიეს ამ „ბედნიერებაში". ჩვენს დიდ ქალაქებსაც ძველი ცივილიზაციის ცენტრების ბედი მოელის: მიიხრწნება ორგანიულად და ამოშრება წუთი სოფლად პრობლემების და რეაქციების, ინტრიგებისა და შანტაჟების მყრალი ქოხი, ბოლო მოეღება ალქიმიკების ფუსფუსს და მორწმუნეთა იდეალი კოშმარით დამთავრდება: ველად გაჭრილ პირუტყვთა ბღავილი და შუაღამის სიჩუმეში ძაღლის სევდიანი ყეფა სიმფონიურად დაასრულებენ არსებობის ზღაპარს. რაც არის აღარ იქნება...

საუკუნე საუკუნეს მისდევს და აჩქარებით ერთმანეთს ფარავს, ვით დაუსრულებელი ჯაჭვის რგოლი; საზღვარი არა აქვს სამყაროს, საზღვარი არა აქვს არც სივრცეს: რაც უფრო შორს იხედება საწყალი ადამიანის გონება, მით უფრო დიდია ეს ქვეყანა და პატარა ადამიანი—ადამიანი, ოცნებებისა და ცრემლების ალუსხებელი ჭურჭელი. პლანეტები და ვარსკლავები სივრცის სიღრმეში მიმოფანტულან, ოკეანები და მათი კუნძულები გაშლილან დედა-მიწის გარშემო; დედამიწაზე მინერალებისა, მცენარეებისა და ცხოველთა გრძნეული სუნთქვა ისმის უსწორ-მასწორო, ხალვათი.

შუაში კი პატარა, მანკიერი, ფლიდი, გაიძვერა და მუდამ მეოცნებე ადამიანი ფუსფუსებს და ძალდატანებას ეწევა.

წუთი სოფელი ყაჩაღობა და ძალდატანებაა: ჰიანჭველა მიეჩქარება მწერის დასაჭერად, მონადირე ტყეში ათვალიერებს თავის მსხვერპლს, მეთევზე გულის ფანცქალით ელის ანკესზე თევზის მოხვედრას; მეომარი მტერს ემუქრება და შურით ივსება თითქო ვერ ეტევა ამ ქვეყანაზე, თითქო მას არ ყოფნის მზე და ჰაერი.

ქარი ჰქრის, წყალი მიდის, ბრუნავს უაზროდ წუთი-სოფელი; ეგრე იყო, ეგრე იქნება, მაგრამ რაც იყო, აღარ არის; რაც არის, აღარ განმეორდება. გრძნობ თუ არა, ადამიანო, სევდას მარტოობისას და წარმავალობისას? გრძნობ თუ არა როგორ იკარგება შენი სახეობა დაუსრულებელ ძალთა და სახეთა მიმდინარეობაში?

— თუ გრძნობ, რადა ხარ ეგრე მშურიანი და ბოროტი? შეიყვარე და შეიგრძენი არსი ყოვლის: შეუერთე სული შენი სიცოცხლის მოძრაობას, სუნთქვას ბალახებისას და მდინარეების ბორტყლებას: ხომ ხედავ რა უცბად ჰქრება ყველაფერი? მხოლოდ მეხსიერება, მწვავე მეხსიერება რჩება, რომელიც არ აძლევს მოსვენებას ჩვენს სულს, სხეულს და ნერვებს. მართლაც, რა არის სიამოვნება, რომელიც ჩვენ ბედნიერებას გვპირდება?

ან რა არის ტანჯვა, რომელიც ჩვენ ეგრე გვაშინებს? მხოლოდ ჩვენი ჩვეულება, ჩვეულების სიტკბოება და მისი უარყოფა. რა უაზროა ადამიანის ცხოვრება?

ჩვენ არ ვიყავით წუთი სოფლად ვართ და აღარ ვიქნებით: მარადისობა წარსულში, ესე იგი ისევ ბნელი და თვალგაუწვდენელი უფსკრული; მარადისობა მომავალში, ესე იგი, ისევ ბნელი და თვალ გაუწვდენელი უფსკრული. შიაში რაღაც მოჩვენება, პატარა, სუსტი, წარმავალი მოჩვენება, რომელიც სადღაც მიეჩქარება, რაღაცას ეძებს და თან ამ ძიებასთან ერთად ჰქრება და იკარგება; სივრცე ლურჯი, თვალმიუწვდომელი ფანჯრებიდან შორს ტურფად იშლება: ეგრე იყო, ეგრე იქნება. რად არის წარმავალი ადამიანის ცხოვრება?

ან რა აშინებს ადამიანს და რატომ არის იგი ეგრე სულმოკლე? სულერთი არის განა:

სამი დღე გაგრძელდება ჩვენი სიცოცხლე თუ სამი საუკუნე? ყველაფერი ამაოება და უაზრო მოქანცულობაა, მოქანცულობა დაუსრულებელი. ხრწნა და დავიწყება წუთი სოფლად ყველაფრის ბედია. ჰქრება სიყმაწვილე, სურვილები თითების მწველი ნელდებიან; კეთილშობილი ზრახვანი გულისა და სულის აღარ განმეორდებიან და მოგონებანი იმისა რაც იყო, დიდხან ჩვენთან აღარ დარჩებიან.

ქარი დაბერავს და სახე გამოიცვლება; ვნებათა ღელვაში დაქანცულ გულს დასვენება მოგენატრება, მთელი ცხოვრება თითქო დაცინვით შეგხედავს; და ის რაც შენ წუთისოფლად გინახავს, სიკეთე იყო თუ ბოროტება, ტანჯვა იყო თუ სიამოვნება, ზღაპრად დარჩება; სინანულის გრძნობა გულზე ჩამოგეკიდება როგორც მძიმე ქვა, ცრემლებით წარსულს ვერ დააბრუნებენ და დაუკმაყოფილებელ სურვილთა შორის ძიება დაგაბრკოლებს, როგორც შეუბრალებელი მევალე. ყოფნა შენი მერყევია, ისე როგორც ყველაფერი წუთისოფლად: ცხოვრებაში, როგორც სიცრუეთა და მოტყუებათა ჯურღმულში ყოველ წუთს უნდა ელოდე უსამართლობას და განსაცდელს. სიცრუე ყველაფერში და ყოველგან სიცრუე: არ არსებობს წუთი სოფლად არც ერთი ღირებულება; მეგობრობა, ნათესაობა, საზოგადოება, სიყვარული, თანაგრძნობა,—ყველაფერი მოტყუებაა; არ არის ქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც წმინდასა და კეთილშობილ სულს შეეძლოს დასვენება სიყვარულის

პუსჯინოვი ამტკიცებდა, რომ საქართველო ნავთს ვრანგელს მიყიდისო.

**საქართველოს დელეგაციის მემორანდუმი ამერიკას.** პარიზში მყოფმა საქართველოს დელეგაციამ ყველა სახელმწიფოებს დაუგზავნა მემორანდუმი, რომელიც ეხება ამერიკის ნოტას, სადაც საქართველოს რესპუბლიკის აღიარების საწინააღმდეგო აზრი იყო გამოთქმული. ჩვენი დელეგაციის მემორანდუმი შეიცავს განმარტებას და საქართველოს აწინდელ მდგომარეობის დახასიათებას.

**დე-ბრუკერის გამგზავრება.** ევროპის სოციალისტურ დელეგაციის წევრი დე-ბრუკერი გუშინ საღამოს ბათომს წავიდა, საიდანაც ევროპას გაემგზავრება.

**უბედური შემთხვევა** ოქტომბრის 13-ს ნოე სიხარულიძის ოჯახში (დიდი მთავრის ქ. 68) უბედურება დატრიალდა იმ დროს, როდესაც თვით სიხარულიძე შინ არ იყო. ამ დღეს ოჯახის ერთმა ნათესავმა ქალმა რევოლვერი მოიტანა, რომელსაც სინჯვა დაუწყო სიხარულიძის 12 წლის ვაჟმა—უცებ მას რევოლვერი გაუვარდა და ტყვია მის ათის წლის ძმას ავთანდილს მოხვდა, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

**ხოშტარიას კონცესია.** ა. მ. ხოშტარიასათვის მიცემული კონცესია მდ. რიონის ჰიდრავლიკურ ენერგიის გამოყენებისა, განხორციელებული არ იქნება, რის გამო ხდება ლიკვიდაცია ტექნიკური შტატის და კვლევა-ძიებაზე 3.000.000 მანეთზე მეტ დანახარჯისა.

**მიმოსვლა უცხოეთთან.** ინგლისის ორი ხომალდის საზოგადოების „კიუნარდ"ის და „ამერიკა ლევანტ ლაინ"-ის გენერალურმა წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს გზათა დეპარტამენტს წინადადებით, რომ იგი მოაწყობს საქართველოს რკინის გზების შუა და უცხოელი ნავთსადგურებს: სტამბოლი, სმირნა, პირეი, გალაც, ლონდონი, ლივერპული, ანტვერპენი, როტენდამი, მანჩესტერი, ბოსტონი, ნიუიორკი, მონრეალი და ბალტიმორა (კანადა)-ს შორის საქონლის მიმოზიდვას პირდაპირი საბუთებით.

**რუსეთში საქონლის გაშვება.** ა. წ. 2 სექტემბრის სხდომის მთავრობის დადგენილებით საბჭოთა რესპუბლიკებთან სავაჭრო ხელშეკრულობის დადებამდე საქონლის, გატანა დაშვებული იქნება მომარაგების სამინისტროს ნებართვით ყოველ კერძო შემთხვევაში.

**ფოთის ნავთსადგურის ამოწმენდა.** ფოთის ნავთსადგურზე სილის ამოწმენდაზე ა. წ. 5 მაისიდან ინჟ. ტოლმაჩოვის მეთაურობით მუშაობს კერძო ამხანაგობა, რომელმაც სექტემბრის შუა რიცხვამდე ამოიღო 8 ათასზე მეტი კუბ. სილა.

**რკინის გზელთა ტანისამოსი.** ა. წ. 26 აგვისტოს სხდომის მთავრობის დადგენილებით რკინის გზელთა საოპერაციო თანხებიდან გადაიდვა 3600000 მანეთი საორთქმავლო ბრიგადისათვის შესაფერი ტანისამოსის შესაძენად. ეს საკითხი აღიძრა ორთქმავლების ქვანახშირით გათბობაზე გადასვლის გამო.

# კ. კაუცკის სიტყვა

**სოც. დემ. ეკონომიურ თათბირზე.**

ნ. ჟორდანიას მოხსენების დროს შემოდის დარბაზში კ. კაუცკი, რომელსაც კრება მხურვალე ტაშით ეგებება. კრების თხოვნით კაუცკი შემდეგს ამბობს სათათბირო საგნის შესახებ.

„ამხანაგებო! ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან თქვენ ლამაზ ენაზე მოგახსენოთ ჩემი აზრი საკითხის შესახებ. მსოფლიო ომმა არა მარტო საქართველო, მთელი ევროპა ჩააგდო გაჭირვებულ მდგომარეობაში. დღეს ყველა განიცდის პროდუქტების სიძვირეს, ეს აშკარაა, როგორც ინდუსტრიაში, ისე სასოფლო მეურნეობაში. მარქსმა ამ რამდენიმე ათი წლის წინად სთქვა, რომ „შრომა არის ნაყოფი ყოველი ნაწარმოებისა"; მაგრამ დღეს შრომის ნაყოფიერება დაეცა. ბურჟუაზია ამ მოვლენას წინად მაინც რვა საათის სამუშაო დღეს აბრალებდა, მაგრამ რვა საათის სამუშაო დღემ შრომა უფრო გაანაყოფიერა. ნაყოფიერების დაცემა გამოიწვია მსოფლიო ომმა, რასაც თან მოყვა აგრეთვე მუშა ხელის ფიზიკურად განადგურებაც. ზოგის აზრით, რაც უფრო ნაკლები იქნება შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მალე მოისპობა კაპიტალიო, მაგრამ ეს ყალბი შეხედულებაა. პირიქით უფრო იზრდება კაპიტალი სპეკულიაციის სახით; ასეთ პირობებში წარმოება მცირდება, რაც უფრო ამწვავებს ეკონომიურ კრიზისს. დღეს ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს პარაზიტებისას, რომლებიც არამც თუ ქმნიან, სპობენ და ანადგურებენ შექმნილ სიმდიდრეს. ეკონომიურ კრიზისია თავიდან ასაცილებლად საჭიროა შრომის განაყოფიერება, სავალდებულო შრომის შემოღება, რისთვის საჭიროა საწარმოო საშუალებანი. წარმოებაში უნდა ჩაბანდებული იქნას ახალ-ახალი კაპიტალი. ფინანსიურ მდგომარეობის განსამტკიცებლად საჭიროა თქვენი საქონლის უცხოეთში უხვად გატანა. რამდენადაც მე დავრწმუნდი, გაზიდულ საქონლის რაოდენობა თითქმის უახლოვდება შემოზიდულ საქონლის რიცხვს. საჭიროა კიდევ უფრო გაანვითაროთ მარგანეცის და ნახშირის წარმოება. თქვენში შესაძლებელია კიდევ ავეჯეულობისა და ქაღალდის ქარხნის წარმოება. საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს ფულის გამოცემის სისტემა. ქაღალდის ფულის სიმრავლეც არის საქონლის გაძვირების მიზეზი. უნდა მოსპოთ ფულის მონოპოლია, სახელმწიფო [illegible] შემოსავალს არ უნდა გადააჭარბოს. დეფიციტის დასაფარავად საჭიროა გადასახადების გადიდება და გასავლის შემცირება; გადასახადის გადიდება უპირველესად ყოვლისა თქვენს გლეხობას შეეხება; ეს შეიძლება სხვაგან სახიფათო იყოს, მაგრამ თქვენი გლეხობა შეგნებულია და თუ ის დარწმუნდება, რომ გადასახადი მისივე კეთილდღეობას მოხმარდება, ის ადვილად შეურიგდება გადასახადების მომატებას. საჭიროა აგრეთვე იძულებითი სესხსაც მიმართოთ; პოლიტიკურად ეს როგორ იმოქმედებს არ ვიცი სავსებით, რადგანაც ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობ თქვენს მდგომარეობას.

ზემოდ დასახელებული საშუალებანი ასე უცბად მაინც სავსებით ვერ გიხსნისთ ეკონომიურ გაჭირვებისაგან, საჭიროა უცხოეთის დახმარებაც; მაგრამ უბედურება ის არის, რომ თქვენ მოგიხდებათ მიმართოთ უცხოეთის კაპიტალისტურ მთავრობებს, და უსათუოდ მოგიხდებათ კონცესიები, დათმობა. თქვენთვის არ იქნება სასიამოვნო გაეცნოთ ევროპის კაპიტალისტურ წესებს, მაგრამ ეს მაინც აუცილებელია. მაგრამ ამ მდგომარეობას შეგიმსუბუქებთ დასავლეთ ევროპაში მოსალოდნელი სოციალისტური რევოლუცია, მაგრამ ასეთი კი არა, როგორც რუსეთშია. მოსალოდნელია სულ მალე ინგლისის სათავეში მუშათა კლასი ჩადგეს, რაც თქვენთვის ხელსაყრელი იქნება,

მუშათა კლასი დღეს იკრებავს ძალებს და მიეშურება სოციალიზმისაკენ. (მხურვალე ტაში). კ. კაუცკის სიტყვას თარგმნიდა ნ. რამიშვილი.

---

და მიზიდველობის მახლობლად—ადამიანი მარტოა: მას გარშემოერტყმის პლანეტარული სიცივე, კულტურული ფარისევლობა და უმწეობა. ცხოვრების სიავსე, სიხარულის გრძნობა, წარმართული ვნებათა ღელვა, ცახცახი სიყვარულის და ნდომა მშვენიერებისა — მხოლოდ ორგანიული ბუყბუყის აღორძინებაა.

წუთისოფელი ირაციონალური, უთავბოლო და უზნეო მიმდინარეობაა: უძლურია ადამიანის გონება და ყალბია ყველა პრინციპი არსებობისა. სოკრატე ბრძენმა თურმე საწამლავი დალია და ციხიდან გაქცევაზე უარი სთქვა—რატომ?—ქრისტე ჯვარზე აცვეს: ვიღაცას სურვილი იყო ეს, მაგრამ რისთვის?—ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დასწვეს,—რა მიზნით?

განა ამით რამე შეიცვალა დაუსრულებლობაში? სივრცე ცივად გაშლილია და ფარავს ჩვენს პლანეტას ამაყად. ყველაფერს აქვს თავის ადგილი ცხოვრებაში: ფორმათა და სახეთა სხვა და სხვაობა, ცვალებადობა მდგომარეობათა და მიმდინარეობათა...—ყველაფერს აქვს თავისი საფუძველი და ყველა მართალია თავისთვის: არსად არაფერ, არ არის განსაზღვრული, და გარკვეული, არსად არაფერი არ არის გონივრული, ღვთაებრივი და ზედროული: რაღაც ადამიანებს არ უნდათ თავისუფლება გულისა და სულის: მათ ეზიზღებათ ხალვათობა და გაშლილობა შემოქმედებითი ნებისყოფისა. ადამიანები თანდათანობით იგონებენ სხვა და სხვა ზღაპრებს, და თავს ინუგეშებენ... ქმნიან დამფუძნებელ კრებებს, ირჩევენ წარმომადგენლებს, თხზავენ კანონებს, აშენებენ ძეგლებს; და რამოდენიმე წლის შემდეგ ანგრევენ და ამტვრევენ ყველაფერს ძველს, დასცინიან ავტორიტეტებს და თავიანთ ხელებით შექმნილ წმინდა საქმეებს ზიზღით შეჰყურებენ. ისევ ეძებენ, ისევ ქმნიან, ისევ ოცნებობენ... დაუსრულებლათ ირყევიან და ვით სიზიფე მუდამ იწყებენ. სად არის აზრი? ვის სულშია თავმოყრილი მიზეზები და პრინციპები ღვთაებრივობისა? ვინ იტყვის ჭეშმარიტებას ყოვლობაში განზოგადოებისა?

— პოლიტიკური ინტრიგები, სახელმწიფოებრივი პროექტები, მეცნიერული გამოკვლევანი, ჯგუფური სურვილები—განა რომელიმე ამ საკაცობრიო ღირებულებათა შორის არის მარადიული და უცვლელი?

— ცხოვრება გამოუკვლეველი და უზნეო შემოქმედებითი მიმდინარეობაა: ძლევა და ტანჯვა, მოქანცულობა და ტკივილები, შემთხვევათა კოშმარი და დემონიური ხარხარი წინააღმდეგობათა ახრჩობს ჩვენს სულს და ებრძვის ჩვენს ნებისყოფას. ცხოვრება ჯოჯოხეთური მაშინაა მარადისობის ფრთებით უფსკრულისაკენ რომ მიექანება: ამ ფრთების გაშლისა და შეკეცის დროს ეშმაკი და ანგელოზი კოცნიან ერთმანეთს.

გული იმედებს ისახავს, მაგრამ მოქანცულია. სული კიდევ ძველებურად ეტრფის მზის სხივებს და ფოთოლთ შრიალის, მაგრამ ეხლა კი გრძნობს, რომ მოტყუებულია. მეგობრობა სულელთა ზღაპარია, სიყვარული საწამლავია — საწამლავი, რომელსაც აზავებს თვით ბუნება. ყოველივე იმედი ფუჭია. წუთისოფლად ცხოვრება უმიზნოა და უაზრო. საუკუნეთა ძიების და ცრემლების ნაყოფი ჯერ ჯერობით მხოლოდ უსამართლობის და ამაოების იდეაა! დედამიწაზედ მშვენიერების ხანგრძლივობა და სრული ბედნიერება ჯერ არავის უნახავს. დიდი ხანია ადამიანებს თავისუფლად და უშიშრად არ შეუძლიათ არც სიყვარული, არც სიძულვილი, მათ სჩვევიათ მხოლოდ ღალატი, სინანულის ცრემლები, ცოდვა და ურვა სულისა. ეს ცხოვრება ყველაფერს კეთილს ტალახში სვრის, ყველაფერს კარგს და მშვენიერს მარად ლანძღავს და შეურაცყოფს. კეთილისთვის დაჯილდოების მაგიერ გოლგოთის მთაზე აიყვანეს ქვეყნის მხსნელი და იქ ჯვარზე აცვეს, სოკრატე ბრძენს საწამლავი დაალევიეს იმიტომ, რომ ქადაგებდა ათინაში სიყვარულს; ჯორდანო ბრუნო ცეცხლში დასწვეს იმიტომ, რომ სიმართლის თქმა ხმა მაღლა გაბედა. აჯანყებები, რევოლიუციები, ხალხთა ბუბუნი და მღელვარება, სისხლის წვიმა და ცრემლების ოკეანე—ყველაფერი ეს მხოლოდ მეშჩანობის ხმაა, სევდის მომგვრელი ხმა ამაოების. ვინ იცის რამდენი ცრემლები და ტკბილი იმედებია დაკარგული საუკუნეთა თანაუგრძნობლად მეფობენ ცხოვრებაში მხოლოდ სულით მდაბალნი და უგრძნობელნი: წუთისოფლად ბუდობს მხოლოდ წვრილი სურვილები, მხოლოდ მეშჩანობა; იდეალები, სიყვარულის ცრემლები, მაღალი გრძნობები და ოცნებები მხოლოდ და მხოლოდ გმირთა შემოქმედებაა. თუ რამე არის საყურადღებო წუთისოფელში—ეს არის გმირთა მარტო ძახილი საუკუნეთა გრდემლებზე ამეტყველებული!

რა არის ეს საზიზღარი წუთისოფელი, ფარისევლობით ატრუსული და მეშჩანობით ახრიოკებული?

— ნიღაბთა კრებული, უსულო, უსახო, უგრძნობი, უგულო: დიდი ხანია სამყაროს ყრუ ველში ადამიანის აზრი დაბორგავს უნავთსაყუდლოთ და უმიზნოთ; საუკუნეთა სრბოლა ერთსახიანი და უფერულია: იდეალები და ღმერთები იცვლებიან, მშვენიერებს მიმზიდველობა მუდამ წუთიერი და წარმავალია. მშვენიერი სახე მხოლოდ სისხლის მღელვარების ნერგოვნებით, ორთქლით და გულის ფრთიალებით აცახცახებულ ძარღვთა ცეცხლია...

სატრფოს აბრეშუმეულ ნაწნავს დაფუშვა იქვნარევ გულის ძგერის ადარაფერს ეუბნება და მარგალიტის მსგავსი სიყვარულისა და სინანულის ცრემლი შენანების სურვილში ზიზღს იწვევს:

ზიზღი ყოფილა სიცოცხლის შხამის და სურვილების უკანასკნელი სიტყვა.

ქ. კაპანელი.

# თამბაქოს მოსავალი

1919 წლის თამბაქოს მოსავალი უდრის დაახლოვებით 186.000 ფუთს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დესეტინა საშუალოდ იძლევა 50 ფუთს, —გამოირკვევა, რომ ეს მოსავალი მიგვიღია 3720 დესეტინა თუ ცოტა მეტ მიწიდან.

თუ გვინდა შევიტყოთ რამდენს უნდა ველოდეთ 1920 წლის მოსავალს, —ამას შეგვატყობინებს პლანტაციების რაოდენობის გეგმა:

| | | |
|---|---|---|
| გუმისტის მაზ. დამუშავებულია | 750 | დეს. |
| კოდორის მაზ. . . . . . . | 700 | „ |
| სამურზაყანოს . . . . . . | 150 | „ |
| ათონის რაიონში . . . . . | 160 | „ |
| გუდაუთის მაზრაში . . . . | 170 | „ |
| გაგრის რაიონში . . . . . | 50 | „ |
| სულ | 1980 | დეს. |

(დაახლოვებით 2.000 დესეტინა თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დესეტინა საშუალოდ 50 ფუთს იძლევა,—გავიგებთ,) რომ 1920 წლის მოსავალი უდრის— 100.000 ფ., რაც შარშანდელ მოსავალზე ნაკლებია 100.000 ფუთით.

(ვ.)

# მესაკუთრის ტრაგედიის ნიმუშთაგანი

პლეხანოვის პროსპექტთან ახლო, კრილოვის ქუჩაზე (როდის შეიცვლება კრილოვები ბარათაშვილებით, რაზიკაშვილებით და სხვა გამოჩენილ ქართველების სახელით და გვარებით? თუმცა მიხეილის პროსპექტი) შესცვალეს მენშევიკებმა, რა გარანტიაა რომ კრილოვის ქუჩას სკობელევის ქუჩათ არ მონათლავენ?!) საშუალო გიმნაზიის ერთ ერთმა ქართველმა მასწავლებელმა თავისი დაუღალავი და ალალი ინტელიგენტური შრომით კოხტა სახლი აიშენა, რომელიც ძველის ფულის კვალობაზე 40,000 მან. ღირდა.

ცხოვრობდა თავისი ცოლშვილით ოთხ ოთახში და დანარჩენი ოთახები გაქირავებული ჰქონდა.

უკვე ხანში შესულ მასწავლებელს აღარ შეეძლო თავისი შრომით იმდენი შეტანა ოჯახში, რამდენიც მას უწინ შეჰქონდა.

ცხოვრება დღითი დღე ზღაპრულად ძვირდებოდა და მისი აღებული ფული კი უფრო კლებულობდა—უმცირდებოდა.

სოციალისტური კანონით დემურებსაცხოვრებლის ქირას ვერ უმატებდა; პირიქით, რეკვიზიციისაც ეშინოდა და აი ის ადამიანი, რომელიც ლუკმას იკლებდა, ოფლში სცურავდა და ისე იძენდა სახლის ფულს, იძულებული გახდა ამ რამოდენიმე თვის წინათ გაეყიდნა უზომო შრომით შეძენილი სახლი ვინმე სომეხზე 300,000 მანეთში.

მოხერხებული და ვაჭარი კაცი ამ ფულს აამუშავებდა და თანხას სხვა თანხას მიუმატებდა, მაგრამ ის ამის უნარს ვერ იჩენს და ალბათ არც სურვილი აქვს სპეკულიანტობისა. ასე ამნაირად დღეს მას 300 ათასი მანეთი უძევს, რომლის ფასიც, დღევანდელი კურსით, ყველამ ვიცით რა ჯამს წარმოადგენს.

დიდის ძალზე დაღონებული და შეწუხებული იცემს თავში და იძახის 300 მანეთად გადავაგდე წვითა და დაგვით შეძენილი ჩემი კოხტა სახლიო. ამ მწუხარებას უფრო ის უმატებს რომ ყოველ დღე ხედავს ბაიყუშივით თავისგანვე გაპელნიერებულ სახლის მყიდველს.

ნელი.

# აგრარული რეფორმა ქუთაისის მაზრაში.

(ერობის გამგეობის მოხსენებიდან)

1918 წლ. 7 მარტის კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ, გამგეობამ მთელი ქუთაისის მაზრა გასულ წლის ივნისის შუა რიცხვებში დაყო შემდეგ 11 სააგრარო რაიონებათ: ქუთაისის, ხონის, დ. ჯიხაიშის, კულაშის, კოპიტნარის, მუხაყრის, საჩინოს, სვირის, ბაღდათის, წყალტუბოს და ოკრიბის. ამგვარად, გამგეობა მთელ მაზრაში აგრარულ რეფორმის გატარებას შეუდგა 11 სარაიონო კომისიების საშუალებით გასული 1919 წლ. ივნისის შუა რიცხვებიდან და მიმდინარე წლის 15 ივლისამდე, სულ მიღებულია 208 წვრილი მემამულის ადგილები, რომლის საერთო სივრცე უდრის 1457 დეს. და 1505 საჟ. სიმცირე მით აიხსნება, რომ კომისიას კონფისკაციასთან ერთად პარალელურად უხდება ფონდის მიწების დროებით განაწილება უმიწო და მცირე მიწის მქონეთა შორის და მის გარშემო ჩამოვარდნილ დავის მოგვარება, რაც დიდ დროსართმევდა კომისიას. სამაზრო ერობამდე კონფისკაციას აწარმოებდა აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო სადგილ-მამულო გამგეობები, რომლებსაც მიუღიათ ფონდში 6176 დეს. და 984 საჟ. ასე რომ დღემდის სულ სახელმწიფო ფონდში ირიცხება 7634 დეს. და 89 საჟ. შემდეგი სამეურნეო სახის მიწები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეზო | 11 | დეს. | 851 | ოთხ. |
| ვენახი | 37 | | 1227 | საჟ. |
| ხილ. ბაღი | 23 | | 52 | |
| სახნავი | 3921 | | 1699 | |
| სათიბი | 40 | | 718 | |
| ტყე | 1928 | | 468 | |
| ბუჩქნარი | 637 | | 729 | |
| საძოვარი | 690 | | 1684 | |
| უვარგისი | 343 | | 2261 | |
| სულ | 7634 | დეს. | 89 | საჟ. |

აღნიშნულ ცნობებში არ შედის ანოხოვისსკული ადგილის სივრცე, რადგანაც უკანასკნელის მიღების აქტი და გეგმა იმყოფება სამინისტროში, რომლის ხახნავი უდრის არა ნაკლებ 2500 ქცევას

1919 წელში მამულის მიღების გარდა 6 საგრარო კომისიები აწარმოებდა საქართველოს პარლამენტის 28 იანვრის კანონის ცხოვრებაში გატარებას. ქუთაისი, სვირი, ოკრიბა, კოპიტნარი, წყალტუბო და ჯიხაიშის უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთათვის გადაუციათ კერძო საკუთრებების სახით 1378 ნახევარი ქცევა, რომლითაც დაუკმაყოფილებიათ 626 კომლი. ხსენებულ მიწების საფასური უნდა შესულიყო ხაზინაში მიწათმოქმედების სამინისტროს სახელზე 1077122 მანეთი და 95 კაპ. ხოლო შეტანილია ხაზინაში ამჟამად 917683 მან. და 50 კაპ. რადგან ზამთარში მინდვრათ მუშაობა ყოვლად შეუძლებელი იყო, საგრარო კომისიები აგროვებდენ მასალებს ზაფხულისათვის: შეადგინეს სიები უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა და სხვა.

გარდა ამისა სამაზრო ერობის განკარგულებით, რადგან ზაფხულზე ფონდის ადგილების კერძო საკუთრებათ გადაცემა ვერ ესწრებოდა და მათი დაუმუშავებლათ დარჩენა დიდ ზარალს მოუტანდა სახელმწიფოს, ზამთარში მოგროვილ ცნობების მიხედვით კომისიებმა გაანაწილეს ფონდის ადგილები უმიწო და მცირე მიწიან მოქალაქეთა შორის, რომელთაც ფონდის მიწების შესყიდვა ეკუთვნოდათ 1919 წლის 28 იანვრის კანონის თანახმათ. (კომისიები ამ პირებზე შესყიდვის აქტს ადგენდა შემდეგ).

აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ 7 საგრარო რაიონს (ქუთაისი, ბაღდათი, სვირი, კოპიტნარი, წყალტუბო, ჯიხაიში და მუხაყრია) სახნავ ადგილების ფასათ შეაწერა 20.292.900 მან.; მხოლოდ დანარჩენ ოთხს (კულაში, ხონი, ვანი და ოკრიბა) შეეწერება არა ნაკლებ 6.304.000 მან. ე. ი. ქუთაისის მაზრაში სახნავ სათესი ადგილების ფასად მიწათმოქმედების სამინისტროს სახელზე უნდა შეტანილ იქნას ხაზინაში არა ნაკლებ 26 596.900 მან. რაც შეეხება სხვა სამეურნეო სახის ადგილებს, როგორიც არის საეზოვე, ვენახი, ხილეულობის ბაღი და საძოვარი, ამათი კერძო საკუთრებათ გადაცემა ჯერ ჯერობით შეჩერებულია და გაიყიდება ბაზრის ფასებში. ყველა ზემოხსენებული ადგილები, გარდა საძოვრისა; მხოლოდ ტყეები და ბუჩქნარები, თანახმად კანონისა გადაეცემა თემებს.

აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიდა შემდეგი დამაბრკოლებელი მიზეზები:

1) რაიონის უმეტესი ნაწილის გაუმიჯნაობა (ხონი, ვანი და წყალტუბო).

2) თვით საგრარო კომისიის წევრების გულგრილობა (ქუთაისი, კოპიტნარი და სხვა რაიონები).

3) მიწის ზომველთა უყოლობა.

და 4) კომისიას, მუშაობის დროს უხდებოდა კვლევა-ძიების წარმოება 1917 წლის 12 ვლისის შემდეგ (ე. ი. დეკრეტის შემდეგ) გაყიდულ ადგილებზე შემდგარი ნაყიდობების და გაყიდულ ფარდის ქაღალდების შესახებ.

აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ 1920 წელში შესძლო აქ ჩამოთვლილ მიზეზების გადალახვა გარდა პირველ მუხლში აღნიშნულისა და მიწის მზომლების კრიზისისა. მეორე და მეოთხე მუხლებში აღნიშნულ უხერხულობის თავიდან ასაცილებლათ, ე. ი. საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ, გამგეობამ დაადგინა: ფონდის მიწის შემძენს მიწის ფასის გარდა გადახდეს ქცევის ღირებულების 10%.

რეფორმის მეორე ნაწილი, ე. ი. კონფისკაცია დამთავრებულია ამ ჟამად ქუთაისის, ოკრიბის, სვირის, ბაღდათის, მუხაყრის, დიდ-ჯიხაიშის, კულაშის და კოპიტნარის რაიონებში. შესაძლებელია აქა იქ აღმოჩნდეს წვრილი მემამულეების ადგილები, რომელსაც კომისია მიიღებს მიწების განაწილების დროს. აგრარულ რეფორმის დამთავრება ქუთაისის მაზრაში შესაძლებელია 1920 წლ. დამლევამდე.

აგრარულ რეფორმათა განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 3.636.160 მან. აღნიშნულ თანხის დასაფარავათ მიწათ-მოქმედების სამინისტროდან კრედიტის სახით ღებულობს სამაზრო ერობა: აგრარულ რეფორმათა განყოფილების პერსონალის შესანახავად 152.364 მან., მდივნების—500.850 მ. და სამიჯნო განყოფილების—745000 მ. სულ 1.398.224 მ. მაშასადამე ერობა ამატებს თავის სალაროდან 2273936 მან., რომელიც დაიფარება 10% შემოსავლიდან. უკანასკნელი ჩვენი გამოანგარიშებით უდრის 2.659.690 მან. და ამ წელში ნავარაუდევია შემოსავლელათ ნ ხევარი.

# მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

**თბილისიდან გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმამდის | № 3 | 10. ს. 58 წ. | დილ. |
| ბათუმში ჩადის | | 7 ს. 27 წ. | დილ. |
| ფოთამდის | № 9 | 5. ს. 34 წ. | დილით |
| ფოთში ჩადის | | 10 ს. 45 წ. | დილ. |
| ბათუმამდის ჩქარი | № 7 | 10. ს. 28 წ. | საღ. |
| ბათუმში ჩადის | | 5 ს. 52 წ. | საღ. |
| ბორჯომამდის | № 19 | 3. ს. 19 წ. | დღ. |
| ბორჯომში ჩადის | | 11 ს. 25 წ. | დღ. |
| სალ-ოღლამდის | | 7 ს. 20 წ. | დილ. |
| ხანაანამდის | № 4 | 8. | დილ. |
| სანაინში ჩადის | | 5 ს. | საღ. |
| კახეთისკენ | | 8 ს. 30 წ. | დილ. |

**თბილისში მოდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 10 | 3. ს. 51 წ. | |
| თფილისში მოდის | | 9 ს. 16 წ. | დღ. |
| ბათუმიდან | № 4 | 4. ს. 9 წ. | დილ. |
| თფილისში მოდის | | 1 ს. 1 წ. | დღ. |
| ბათუმიდან | № 8 | 11 ს. 37 წ. | ღამ. |
| თფილისში მოდის | | 7 ს. 36 წ. | ღამ. |
| ბორჯომიდან | № 20 | 12 ს. 22 წ. | ღამ. |
| თფილისში მოდის | | 7. ს. 47 წ. | დილ. |
| სალ-ოღლიდან | | 12 ს. 10 წ. | დილ. |
| სანაინიდან | № 4 | 7 ს. 30 წ. | დილ. |
| თბილისში მოდ. | | 3 ს. 20 წ. | დილ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ. | | 8 ს. 20 წ. | ს. |

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელი ქ., 8

# გლეხთა ს ყურადღებოდ

## დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საზოგადოებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ფონზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5